შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ 2023/2024 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში

სკოლის სტრატეგიული გეგმის საფუძველზე სკოლა მუშაობდა 4 სტრატეგიულ მიზანზე:

1. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესების ორგანიზება
2. უსაფრთხო, კეთილგანწყობილი და ჯანსაღი გარემოს შექმნა
3. სკოლის თვითშეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება და რეალიზება
4. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

თითოეული მიზნის მისაღწევად იყო დაგეგმილი კონკრეტული ამოცანები შესაბამისი აქტივობებით, გამოყოფილი ადამიანური და ფინანსური რესურსებით.

თითოეულ მიმართულებაზე პასუხისმგებელმა პირმა/სტრუქტურულმა ერთელმა გააკეთა შეფასება და გასცა პასუხი შემდეგ კითხვებზე:

- ✓ რა შესრულდა და რამდენად კარგად?
- ✓ რისი განხორციელება შეფერხდა ან არ მოხდა წინასწარ დაგეგმილ ვადაში და რა ხელშემშლილი ფაქტორები გამოვლინდა?
- ✓ რა ზეგავლენას მოახდენს ნაწილობრივ შესრულებული ქმედებები მთლიან მიზნებსა და ამოცანებზე?
- ✓ რომელმა ამოცანამ დაკარგა აქტუალობა?
- ✓ რომელი ამოცანის დამატება არის საჭირო?
- ✓ როგორ მივყვებოდით განხორციელების ვადებს?

თითოეული სტრატეგიული მიზანი და აქტივობა შეფასდა სკალით: **შესრულდა/არ შესრულდა/ნაწილობრივ შესრულდა.**

მიღებული შედეგები:

I სტრატეგიული მიზანი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესების ორგანიზება

შესრულდა	არ შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა
✓		

ამოცანა : სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება

აქტივობა	შესრულდა	არ შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	შენიშვნა/კომენტარი
ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეფციისა და			✓	ყველა საფეხურისთვის და საგნისთვის იყო შედგენილი

საგნობრივი პროგრამების დანერგვა				კურიკულუმი,რომელიც შეესაბამება ახალ სტანდარტებს
მასწავლებლების მიერ ახალგადმოსული ან უცხო ქვეყნის მოსწავლეზე დაკონკრეტებული და მორგებული ინდივიდუალური საგნობრივი პროგრამების შემუშავება	✓			წლის განმავლობაში ეტაპობრივი ადაპტირების მეთოდის საშუალებით მოსწავლეებმა აითვისეს საწავლო პროგრამები, მათთვის გაიწერა ისგ
კომპლექსური დავალებების ჩატარება/დანერგვა	✓			შემუშავდა კომპლექსური დავალებების გაფორმების ახალი ფორმები, ყველა საგანში და კლასში ჩატარდა კომპლექსური დავალებები, კათედრებზე შეიქმნა კომპ.დავალებების ბანკი
მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა	✓			პერიოდულად ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა პრობლემები და მათი გადაჭრის გზები,სემესტრის ბოლოს შესწავლილი იყო ყველა საგანში ყველა კლასის მოსწავლეების მიღწევები
საგაკვეთილო პროცესის მოდერნიზაცია			✓	გაკვეთილებისა და ღონისძიებების ჩასატარებლად იყო გამოყენებული ინტერნატით აღჭურვილი საკლასო ოთახები, კომპიუტერი, მონიტორი, პროექტორი,თვალსაჩინოება, მაკეტები, მოდელები, სწავლა-სწავლების კონკრეტული სტრატეგიები. მაგრამ სკოლას ამ მომენტისთვის არა აქვს შეძენილი smart დაფა, რომლის საშუალებით სასწავლო პროცესი უფრო თანამედროვე და საინტერესო გახდებოდა
მასწავლებელთა პროფესიული განვითარება.	✓			პედაგოგიური კოლექტივის თითოეული წევრი ზრუნავს საკუთარ განვითარებაზე ,ასევე სკოლა ხელს უწყობს მუდმივ პროფესიულ ზრდას, აქვს შემუშავებული მხარდაჭერის მექანიზმები.

შიდასასკოლო ოლიმპიადების, კონკურსების, პროექტების და სხვა ღონისძიებების ორგანიზება და მართვა	✓			ამ პერიოდის განმავლობაში სკოლამ ჩაატარა სხვადასხვა ღონისძიება, 2 საგნობრივი კვირეული: “ უცხოური ენები“ და „ესთეტიკური აღზრდა“,ასევე მიმდინარეობს სასკოლო პროექტი „კულტურული მრავალფეროვნება“
სკოლის მართვა ელექტრონული სისტემა Schoolbook-ის მეშვეობით	✓			წლის განმავლოაში ეფექტურად ხდება ელექტრონული ჟურნალის წარმოება, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და დასწრების ინფორმაციის ასახვა, მასწავლებელებთან და მშობლებთან კომუნიკაცია. ადმინისტრირების საშუალებით დროულად ინფორმაციის შეტანა/დაარქივება
მემორანდუმით განსაზღვრული ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება პარტნიორ უნივერსიტეტებთან		✓		სამწუხაროდ ამ ეტაპისთვის ვერ მოხერხდა პარტნიორ სასწავლებლებთან ერთობლივი აქტივობების ჩატარება.

ამოცანა : სკოლის საქმიანობის ავტორიზაციის სტანდარტებთან მოყვანა

აქტივობა	**შესრულდა**	**არ შესრულდა**	**ნაწილობრივ შესრულდა**	**შენიშვნა/კომენტარი**
სამუშაო ჯგუფის შექმნა და შხვედრები	✓			ავტორიზაციისთვის მოსამზადებლად შეიქმნა 2 სამუშაო ჯგუფი ,მაგრამ სხვა ვადაში-თებერვლის თვეში.
შიდასასკოლო ექსპერტიზის ჩატარება	✓			მოხდა შედარება ავტორიზაციის მოთხოვნებსა და სკოლაში არსებული მდგომარეობის შორის,უზუსტოებების გამოვლენის შემთხვევაში დაისახა გამოსწორების გზები.
ახალგაზრდა კონკურენტუნარიანი კადრების მოზიდვა	✓			გამოცხადებული ღია კუნკურსისა და მასწავლებელთა მიღების

				წესზე დაყედნობით სკოლამ აიყვანა ახალი კადრები

II სტრატეგიული მიზანი:უსაფრთხო, კეთილგანწყობილი და ჯანსაღი გარემოს შექმნა

შესრულდა	არ შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა
✓		

ამოცანა:უსაფრთხო,ორგანიზებული და კარგად დისციპლინირებული გარემოს შექმნა

აქტივობა	შესრულდა	არ შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	შენიშვნა/კომენტარი
უსაფრთოების წესის დამტკიცება და საზოგადოებისთვის გაცნობა (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები)	✓			სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარდა პედსაბჭო, მშობელთა და საკლასო კრებები ,საინფორმაციო შეხვედრები , რომლებზეც იყო განხილული ყველა ასპექტი, რომელიც ეხება უსაფრთხოებას სკოლის სივრცესა და სკოლის ტერიტორიაზე.
საგანმანათლებლო ლექციების და ღონისძიებების ჩატარება ისეთ თემებზე, როგორიცაა კონფლიქტების მართვა, ბულინგი, კიბერბულინგი, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ტოლერანტობა და სხვა.	✓			მასწავლებლების, ფსიქოლოგის, დირექტორის და კლასის დამრიგებლების ორგანიზებით ჩატარდა სხვდასხვა ღონისძიება და პროექტი ამ მიმართულებით
ანონიმური ყუთების განთავსება სასკოლო სივრცეში	✓			სკოლის საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს საშუალება ამ ყუთების მეშვეობით გამოხატოს მოსაზრება პრობლებურ ან უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხზე
სკოლის ტერიტორიის დაცვა	✓			2023-2024 სასწავლო წლის იანვრიდან სკოლაში ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური.სკოლის შენობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის

				დაცვას ახორციელებს მანდატურის,მორიგე დარაჯი თანამშრომელი, ფუნქციონირებს ვიდეოკამერები.
მოსწავლეთა სკოლაში დასწრების მონიტორინგის სისტემის შექმნა; მშობლებისა და სტუმრების სკოლაში გამოცხადებისა და გადაადგილების ორგანიზება	✓			სკოლაში ხდება სტუმრების აღრიცხვის ჟურნალის წარმოება, არსებობს მშობლების მიღების გრაფიკი, მოსწავლეთა დასწრება ასახულია ელ.ჟურნალში, კლასის დამრიგებელი ხელმძღვანელობს მშობელთაინფორმირების წესით
სახანძრო სტენდის მოწყობა შენობის სამივე სართულზე და ფოიეში და საევაკუაციო გეგმის გამოკვრა თვალსაჩინო ადგილებში ყველა სართულზე.	✓			მითითებულ ვადაში იყო განთავსებული სახანძრო სტენდები და საევაკუაციო გეგმა. თევერვალში განახლდა ყველა ცეცხლმაქრი და იყო განთავსებული ყველა სართულზე
სამედიცინო კაბინეტის მოწყობა და აღჭურვა შესაბამისი ინვენტარითა და მედიკამენტებით. სამედიცინო დახმარების მექანიზმის რეალიზება	✓			სკოლის ექიმი ხელმძღვანელობს ექიმის სამედიცინო კაბიმეტის მუშაობის წესით, მის მიერ ჩატარებულია ყველა დაგეგმილი აქტივობა
სანიტარულ– ჰიგიენური ღონისძიებების ჩატარება	✓			შედგენილია სან.დამუშავების გრაფიკი, ჩატარებული ღონისძიებები აღირიცხება შესაბამის ცხრილში

ამოცანა:კომფორტული და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა

აქტივობა	**შესრულდა**	**არ შესრულდა**	**ნაწილობრივ შესრულდა**	**შენიშვნა/კომენტარი**
ფსიქოლოგის ინსტიტუტის გაძლიერება	✓			ფსიქოლოგმა გეგმის მიხედვით ჩაატარა როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური კონსულტაციები მოსწავლეებთან,მასწავლებლებთან და მშობლებთან. ასევე კარიერული დაგეგმვის მეცადინეობები მე-9 და მე-11 კლასში

მშობელთა ჩართულობა	✓			შეიქმნა სკოლის მშობელთა კომითეტი, რომელმაც დებულების საფუძველზე გაწერა და განახორციელა ღონისძიებები
მოსწავლეთა თვითმმართველო-ბის გაძლიერება	✓			თვითმმართველობის ორგანო ამუშავდა დეკემბრიდან, შეიქმნა დებულება, ჩატარდა არჩევნები, იყო ორგანიზებული კლუბები მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. მოსწავლეების ორგანიზებით ჩატარდა ბევრი საინტერესო აქტივობა და კონკურსი

ამაცონა:ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება

აქტივობა	შესრულდა	არ შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	შენიშვნა/კომენტარი
სპორტული წრეების ფუნქციონირება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით	✓			მშობელთა და მოსწავლეთა მოთხოვნის გათვალისწინებით სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული წრეები: კარატე, დეკემბრის თვემდე ფუნქციონირებდა უშუს წრე.
მასწავლებლებისა და მოსწავლეების მონაწილეობითა და ინიციატივით ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ჩატარება	✓			ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარდა შიდასასკოლო ტურნირი ფრენბურთში VII-XI კლასების მონაწილეობით. აპრილში დაიწყო შიდა სასკოლო ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში.
სკოლის ექიმის მიერ ჩატარებული ლექციები, მეცადინეობები	✓			სკოლის ექიმმა ჩაატარა საინფორმაციო ხასიათის გაკვეთილები: მე-5 კლასში „ფიზიოლოგიური ცვლილებები და ჰიგიენა“,მე-4 კლასებში- „ტრავმატიზმი და მისი პროფილაკტიკა“, მე-9 კლასებში-საუბარი თემაზე „ნარკოტიკი,ალკოჰ ლი, თამბაქო“, მე-8 კლასებში- „დღის რეჟიმის შესახებ“, მე-3 კლასებში -„როგორ დავიცვათ

				ჰიგიენა ზოგადად და სკოლის პირობებში“
სკოლათა შორის სპორტული ტურნირის ორგანიზება	✓			ნოემბერში 75-ე საჯარო სკოლასთან ჩატარდა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში მე-10 კლასების მონაწილეებით

III სტრატეგიული მიზანი: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

შესრულდა	არ შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა
		✓

ამოცანა:სკოლის კომპიუტერი-ზაცია და საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის დახვეწა

აქტივობა	შესრულდა	არ შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	შენიშვნა/კომენტარი
სკოლის მართვის ელექტრონული სისტემა Schoolbook-ის გამოყენება	✓			სკოლა ხარისხიანად აწარმოებს ელ.ჟურნალს, დროულად ანთავსებს საჭირო ინფორმაციას.
ფინანსური არქივის თანამედროვე ინფორმატიზაცია			✓	უნდა დაიხვეწოს ფინანსური აქრქივიზაციის პროცესი, მონაცემებთან გამარტივებული წვდომის მიზნით
სკოლის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვა.			✓	სკოლამ შეიძინა დამატებითი კომპიუტერები, პროექტორები, აუდიოსპიკერები, სკანერები, მაგრამ ამ ეტაპზე არა აქვს შეძენილი ჭკვიანი დაფები.

სასწავლო-სამეცნიერო,მეთოდური ,მხატვრულილიტერატურის, ელექტრონული წიგნების აუდიო და ვიდეო მასალების,შესაბამისი ინტერნეტ რესურსების ჩატვირთვა სკოლის კომპიუტერში.			✓	მიიმდინარეობს წიგნადი ფონდის გამდიდრება
ქართულენოვანი და რუსულენოვანი ვებ-გვერდების განახლება.საიტის დიზაინის მოდიფიკაცია.	✓			სკოლის საიტი განახლდა, მასში იყო შეტანილი ახალი ინფორმაცია

ამოცანა: სარემონტო სამუშაოების ჩატარება

აქტივობა	**შესრულდა**	**არ შესრულდა**	**ნაწილობრივ შესრულდა**	**შენიშვნა/კომენტარი**
კლასებისა და დერეფნების კოსმეტიკური რემონტი			✓	კლასებში და დერეფნებში ზაფხულის თვეებში გაკეთდება კოსმეტიკური რემონტი
სპორტული მოედნის რეკონსრუქცია	✓			ამ პერიოდისთვის გაკეთდა სპორტული მოედნის სრული რეკონსტრუქცია

ამოცანა:სხვადასხვა რესურსების შეძენა

აქტივობა	**შესრულდა**	**არ შესრულდა**	**ნაწილობრივ შესრულდა**	**შენიშვნა/კომენტარი**
საოფისე ინვენტარის,სასკოლო ავეჯის შეძენა	✓			სკოლის სხვადასხვა სივრცისთვის სკოლამ შეიძინა ახალი ავეჯი და ინვენტარი
მასწავლებლებისთვის ახალი დამხმარე და მეთოდური სახელმძღვანელოების, რესურსების შეძენა	✓			განახლდა წიგნადი ფონდი, სკოლამ შეიძინა ესთონეთის მიერ გამოშვებული სახელმძღვანელოები, კომპიუტერები,პროექტორები და თვალსაჩინოები

IV სტრატეგიული მიზნი: სკოლის თვითშეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება და რეალიზება

შესრულდა	არ შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა
✓		

ამოცანა:სასწავლო-აღმზრდელო-ბითი პროცესის მინიტორინგი და შეფასება

აქტივობა	შესრულდა	არ შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	შენიშვნა/კომენტარი
მოსწავლეთა აკადემიური მდგომარეობის შესწავლა,მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა, მათი განვითარების დინამიკის დადგენა, რეიტინგის განსაზღვრა	✓			შესწავლილია მოსწავლეთა მიღწევები ყველა კლასში, (ჩატარდებული პერიოდული მონიტორინგი) ყველა საგანში, გამოკვლეულია პრობლემი, გაიწერა ვადები პრობლემების გამოსწორების მიზნით, და რეაგირების მექანიზმი.
მოსწავლეების მიერ სასწავლო მასალის ათვისება,საგნობრივი პროგრამის გავლის მონიტორინგი	✓			სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით შემოწმებულია და გაანალიზებულია საგნობრივი კურიკულუმი, მოსწავლეთა აკადემიური შედეგები, დიაგნოსტიკური კვლევები/ შემაჯამებელი სამუშაოები, ანონიმური გამოკითხვის შედეგები
მასწავლებლის, კლასის დამრიგებლის, კათედრის თავმჯდომარეების საქმიანობის შეფასება	✓			საქმიანობის მონიტორინგი ხდება შექმნილი შეფასების ფორმის მეშვეობით,მათი ელ.პორტფოლიოების ანალიზით, რეიტინგული სისტემით, მოსწავლეებისა და მშობლების ანონიმური გამოკითხვით, კათედრის გამგეების, კლასის დამრიგებლების, საგნის მასწავლებლების ანგარიშების,

				რეფლექსიების შესწავლით.
ჩატარებული გაკვეთილის შეფასება	✓			ხარისხის განვითარების და მხარდაჭერის ჯგუფი მუშაობდა წინასწარ შედგენილი გეგმისა და გაკვეთილებზე დასწრების განრიგის საფუძველზე, გაკვეთილები შეფასდა რუბრიკების მიხედვით, ჩატარებული გაკვეთილების დაკვირვების ფორმების შევსებით, შემდგომი უკუკავშირის გაცემით
სასკოლო კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	✓			ესგ-ში და საგნობრივ სტანდარტებში შემოსული ცვლილებებისა და სკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან მოყვანის გამო , მოხდა არსებული კურიკულუმების რევიზია და მათში ცვლილებების შეტანა
წრეობრივი მუშაობის მონიტორინგი			✓	ამ ეტაპისთვის მოხდა დოკუმეენტაციის შესწავლისა და დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით წრეობრივი მუშაობის ეფექტიანობის შესწავლა და ანალიზი, საქმიანობის დახვეწის გზების დასახვა. სამწუხაროდ ჯერ ვერ მოხერხდა მშობელთა ანონიმური ანკეტირების ჩატარება

ამოცანა:ხარისხის უზრუნველყოფის მონიტორინგი და შეფასება

აქტივობა	**შესრულდა**	**არ შესრულდა**	**ნაწილობრივ შესრულდა**	**შენიშვნა/კომენტარი**
სკოლის ადმინისტრაციის საქმიანობის შეფასება			✓	თებერვალში ჩატარდა მშობელთა და პერსონალის ანონიმური გამოკითხვა სკოლის საქმოანობის შესახებ
სასწავლო პროცესის ტექნიკური გამართულობის მონიტორინგი	✓			IT მენეჯერის დასკვნა: შემოწმებულია,შეესაბამებოდა თუ არა ტექნიკური აღჭურვილობა სასწავლო პროცესს და რამდენად უზრნველყო მან მიზნის მიღწევა
სკოლის ფინანსური მართვა და კონტროლი	✓			სისტემატურად ხდება საბუღალტრო აღრიცხვები და ანგარიში
სკოლის მიერ შერჩეული ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოებისა და რეკომენდებული დამატებითი ლიტერატურის შემოწმება.	✓			აპ პერიოდისთვის ორჯერ შემოწმდა ყველა კლასი,დადგენილია წიგნების დამტკიცებულ ნუსხასთან შესაბამისობა,გაფორმებულია აქტი.